საქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს

ბატონ კახა კუჭავას

საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად,წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას, საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 23 დეკემბერს მაუწყებლობის შესახებ მიღებული კანონის 52-ე მუხლთან დაკავშირებით.

ბოლო წლების განმავლობაში შეუქცევად ტენდენციად ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტელეკომპანიების მიერ ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება, ყოველგვარი მტკიცებულებებისა და დამადასტურებელი წყაროების გარეშე. მაუწყებლობის შესახებ ზემოაღნიშნული კანონი ასეთ შემთხვევებში ითვალისწინებს რეაგირების სხვადასხვა ზომებს, რომლებიც არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, არ არის ეფექტური. ალტერნატიული გზა არის სასამართლო, მაგრამ, მასთან დაკავშირებული პროცედურების ხანგრძლივობა მოტივაციას და ამ ინსტიტუტით სარგებლობის სურვილს უკარგავს დაზარალებულ მხარეს. უშუალოდ მაუწყებელთან კომუნიკაციაც არ არის ეფექტური, რადგან არსებული კანონით გათვალისწინებული ქმედებები ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის მოპოვება-გადამოწმება-გავრცელების პროცესის სამართლიანობას.

ზემოაღნიშნულისა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების ფარგლების გათვალისწინებით, გთხოვთ შეიმუშაოთ, განიხილოთ და მიიღოთ საქართველოს ორგანულ კანონში „მაუწყებლობის

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-14203/21
28 10 2021 წ. ფურცელი 2

შესახებ“ სათანადო ცვლილებები, რომლებიც გამორიცხავს ჟურნალისტების მხრიდან ცილისმწამებლური და პიროვნების დაუმსახურებლად შეურაცხმყოფელი ფაქტების გასაჯაროებას.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები წაახალისებს მაუწყებლობის სფეროს წარმომადგენლებს საფუძვლიანად გადაამოწმონ ფაქტები და მოვლენები და მხოლოდ შემდეგ გამოიტანონ საჯარო განხილვის არეალზე.

ვიტოვებთ თქვენი მხარდაჭერის იმედს და გამოვთქვამთ მზადყოფნას მონაწილეობა მივიღოთ ჩვენი საკანონმდებლო წინადადების შემდგომი დამუშავებისა და განხორციელების პროცესში.

პატივისცემით

გიორგი გაჩეჩილაძე (პ/ნ [redacted]

საკონტაქტო პირი

ალექსი ჯიჯიხია [redacted]